



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გოსტენინა ელისაბედ ანდრიას ასული



ე. გოსტენინა მარია, პ. ჩაიკოვსკის ოპერა „მაზეპა“

გოსტენინა ელისაბედ ანდრიას ასული [4 (17). VIII. 1904, თბილისი, – 13. IX. 1988, იქვე], მომღერალი (სოპრანო) და პედაგოგი. საქართვ. სახ. არტისტი (1947). 1929 დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (პროფ. ლ. მიხალსკაიას კლასი). 1929–59 იყო ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი. 1962-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას ზ. ფალიაშვილის სახ. II სამუსიკო სასწავლებელში. ხანგრძლივი სასცენო მოღვაწეობის მანძილზე შეასრულა სოპრანოს თითქმის ყველა წამყვანი პარტია, მ. შ.: მარო, ეთერი (ზ. ფალიაშვილის „დაისი“, „აბესალომ და ეთერი“), ტატიანა, ლიზა (პ. ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“, „პიკის ქალი“), აიდა, ვიოლეტა (ჭ. ვერდის „აიდა“, „ტრავიატა“), ტოსკა (ჭ. პუჩिनის „ტოსკა“) და სხვ. გ-ს ჰერონდა ძლიერი ხმა, მისი შესრულების მანერა გამოირჩეოდა სავსე ხმოვანებითა და ინტონირების სიფაქიზით, მაღალი ვოკალურსცენური ოსტატობით. მიღებული აქვს სახელმწ. ჭილდოები.

დ. გედევანიშვილი